ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორის (კატეგორია „ა“) სამსახურში მისაღებად რექტორის 2022 წლის 17 მაისის N142/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 ივნისის N45/2022 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი 29 ივნისი 2022 წ.

14.00 საათი, თსუ აკად. არნ ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმი, ჭავჭავაძის 19

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5-ვე წევრი:

1

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. ტარიელ სიხარულიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში** **პროფესორის** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა — მერაბ ჩუხუამ.

მერაბ ჩუხუამ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება — „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი მერაბ ჩუხუას კანდიდატურას.

დაადგინეს: ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის (კატეგორია „ა") 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **მერაბ ჩუხუა.**

კომისიის თავმჯდომარე:

მოადგილე:

წევრები:

კომისიის მდივანი:

თარიღი: 29 ივნისი, 2022